

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრს  
შორის

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

დ. ასპინძა

28 იანვარი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) წარმოდგენილი რექტორის, პროფესორ მერაბ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (შემდგომში - ``რესურსცენტრი``) წარმოდგენილი უფროსის, ტრისტან მურადაშვილის სახით, შემდგომში - ``მხარეები`` ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეთა უფლებამოსილების ფარგლებში იღებენ წინამდებარე „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმს შემდეგზე:

### მუხლი 1

მემორანდუმის მიზანია მხარეთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზით, უნივერსიტეტსა და რესურსცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლებს (შემდგომში - ``სკოლები``) შორის კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლობა.

### მუხლი 2

მემორანდუმის მიზნის განსახორციელებლად მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:

უნივერსიტეტი:

- საჯარო ლექციების წაკითხვა სკოლების მოსწავლეებისათვის ;
- სპორტული და კულტურული ღონისძიებების გამართვა;
- ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

რესურსცენტრი:

მისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტსა და სკოლებს შორის მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

მუხლი 3

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

მუხლი 6

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 7

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შესრულებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

რექტორი, პროფესორი

მერაბ ბერიძე

უფროსი

ტრისტან მურადაშვილი

